



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302133510
თარიღი: 01/12/2021
პინი: 7774

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ (ს/ნ 406080529) ხელმძღვანელმა რემა ღვამიჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის პროექტის „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში საზოგადოება (როგორც ქართული მხარის წარმომადგენელი) გეგმავს ქ. ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნებას და მის აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი აპარატურით. მისივე თქმით ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება გაზრდის გურიაში მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ადრეულ დიაგნოსტიკასა და პრევენციულ კვლევებზე, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

განმცხადებელმა პროექტის მიზნის მისაღწევად, კერძოდ ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის ითხოვა 15 წლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუხუთში მდებარე 1782 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 27.05.44.009) პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი, (ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ პოპულაციისათვის სამედიცინო საერვისების უფასო მიწოდება. უახლოესი ორი წლის განმავლობაში - სამედიცინო აპარატურის სახით 350 000 ლარის ოდენობით, ხოლო გადაცემული ფართის რემონტის სახით მინიმუმ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, ასევე პროექტის განხორციელების პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობიდან 6-8 ადამიანის დასაქმება) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა - 1 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოდ და მოგვცეთ თანხმობა მერიის მიერ, განსაზღვრულ განსაკარგი უძრავი ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობაზე.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ნაჭყებias კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302133471
თარიღი: 30/11/2021

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
იურიდიული სამსახური-იურიდიული სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული სამსახურის უფროსს
შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა

ჩვენი 2021 წლის 30 ნოემბრის N 08-30213344 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით გიზუსტებთ რომ იჯარის გაცემის შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს შემდეგი პირობები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნება, აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი აპარატურით (ციფრული მამოგრაფი, ექოსკოპიური აპარატი) და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის სერვისების მისაწოდებლად. ცენტრის დაფუძნებით გაიზრდოს გურიის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციულ კვლევებზე, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური თვალსაზრისით. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო საერვისების მიღება მიზნობრივ პოპულაციისათვის იყოს უფასო.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302133440
თარიღი: 30/11/2021

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
იურიდიული სამსახური-იურიდიული სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული სამსახურის უფროსს
შოთა ჩაგუნავას


ბატონო შოთა

ჩვენი 2021 წლის 30 ნოემბრის N 08-30213344 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით გიზუსტებთ რომ საკითხი ეხება ს/კ 27.05.44.009 კოდზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი



N 135/21

25/11/2021

ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის ივნისიდან საქართველოში დაიწყო ევროკავშირის პროექტის „Towards improved screening for breast, cervical and colorectal cancer in Eastern-Europe: Equitable, Actionable, Sustainable and Trustworthy—EU-TOPIA-EAST“ განხორციელება, რომელსაც ევროკომისია კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამის, „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში აფინანსებს.

ქართულ მხარეს პროექტში წარმოადგენს „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“ და მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნება, აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი აპარატურით (ციფრული მამოგრაფი, ექოსკოპიური აპარატი) და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის სერვისების მისაწოდებლად. ცენტრის დაფუძნებით გაიზრდება გურიის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ადრეულ დიაგნოსტიკასა და პრევენციულ კვლევებზე, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური თვალსაზრისით. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სერვისების მიღება მიზნობრივ პოპულაციისათვის უფასო იქნება.

პროექტის მიზნის მისაღწევად, ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის, გთხოვთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთში მდებარე შენობა, ფართით 253,8 კვ.მ. ნაკვეთის კოდი 27.05.44.009, გადმოგცეთ პირდაპირი განკარგვის წესით 15 წლიანი იჯარის უფლებით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად.

ჩვენი მხრივ, „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“ ვიღებთ ვალდებულებას, უახლოესი 2 წლის განმავლობაში, თქვენ მიერ გამოყოფილ ფართში განვახორციელოთ მინიმუმ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია რემონტის სახით, ხოლო სამედიცინო აპარატურის სახით, მინიმუმ 350 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში დავასაქმებთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მინიმუმ 6-8 ადამიანს.

მოგმართავთ თხოვნით, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გაიტანოთ აღნიშნული საკითხი განსახილველად. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის. პატივისცემით,

რემა ღვამიჩავა

„კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ ხელმძღვანელი,

ევროპის ონკოლოგიური აკადემიის წევრი

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს - გადასცეს ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“ (ს/ნ 406080529) 15 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი (ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ პოპულაციისათვის სამედიცინო საერვისების უფასო მიწოდება.) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუხუთში მდებარე 1782 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები. (ს/კ 27.05.44.009)

მუხლი 2. სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს ერთი ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018577962 - 29/06/2018 11:56:47

მომზადების თარიღი
29/06/2018 13:20:41

საკუთრების განყოფილება

ზონა ლანჩხუთი	სექტორი შუხუთი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 1782.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 27.05.30.232; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2
27	05	44	009	
მისამართი: მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი შუხუთი				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018577962 , თარიღი 29/06/2018 11:56:47
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/06/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N3718 , დამოწმების თარიღი: 21/06/2017 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N378 , დამოწმების თარიღი: 20/06/2012 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრეები:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 233730139

მესაკუთრე:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავენობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:
ბანცხალების რეგისტრაციის ნომერი:
მიწის ნაკვეთის ფართობი:
ღანიშნულება:
კატეგორია:
მომზადების თარიღი:

27 05 44 009
8820121811
1788 კვ.მ.
არასასოფლო-სამეურნეო
01.05.12

